



შპს ცხუმ-ეგრისის

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 სთ-დან 18.00 საათამდე.

შესვენება 14.30-საათიდან - 15.00 საათამდე.

პროფესიული სტუდენტი/მსმენელი და პერსონალი (შემდგომში-მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით.

პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და პერსონალი, კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის უნდა გაწევრიანდნენ ბიბლიოთეკაში, რაც დასტურდება მის სახელზე გახსნილი მკითხველის ბარათით. ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისათვის სავალდებულოა პირმა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მკითხველის ბარათში ასახულ ინფორმაციას ხელმოწერით ადასტურებს მკითხველი

კოლეჯის პერსონალის ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება მათ მიერ შესაბამის პოზიციებზე ყოფნის განმავლობაში.

მკითხველის უფლება-მოვალეობები

მკითხველს აქვს უფლება:

- ❖ მიიღოს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ;
- ❖ ისარგებლოს ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსით; ისარგებლოს ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით;
- ❖ მოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება;
- ❖ ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული პრინტერთა და სკანერთი;
- ❖ ისარგებლოს ინტერნეტში ჩართული, გამართული კომპიუტერული ტექნიკით;
- ❖ ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ქსეროასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა;
- ❖ მოითხოვოს ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსის ჩაწერა CD დისკზე ან ინფორმაციის სხვა
- ❖ ელექტრონულ მატარებელზე;
- ❖ ისარგებლოს კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ბიბლიოთეკით, რომელიც
- ❖ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის;
- ❖ გამოთქვას და გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება, ინტერესები, სურვილები ბიბლიოთეკის
- ❖ საქმიანობის და ხარისხის შესახებ.

მკითხველი ვალდებულია:

- ❖ გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ❖ გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო ინვენტარს (მათ შორის ელექტრონულს) და საბიბლიოთეკო ფონდს;
- ❖ დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკარს, მისთვის გაცემულ საბიბლიოთეკო ერთეულზე დეფექტის აღმოჩენის ფაქტი;
- ❖ დროულად დააბრუნოს გატანილი წიგნი და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსი;
- ❖ საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში დააბრუნოს იდენტური (იმავე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი) ერთეული ან აანაზღაუროს ფინანსურად, საბაზრო ფასით.
- ❖ წიგნების და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის გატანა და დაბრუნება:

ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა და დაბრუნება:

- ❖ წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს/ მსმენელს /პერსონალს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები, თუ მთელი წიგნი.
- ❖ სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით.
- ❖ ბიბლიოთეკიდან წიგნი გაიცემა ათი სამუშაო დღის ვადით.
- ❖ წიგნის დაკარგვის ან ისეთი დოზით დაზიანების შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენება შეუძლებელია, წიგნის გამტანი ვალდებულია 2 დღის ვადაში ბიბლიოთეკაში მოიტანოს იგივე სახის წიგნი ან აანაზღაუროს გატანილი წიგნის საფასური კოლეჯის ფინანსურ სამსახურში ანგარისშწორებით.
- ❖ მკითხველის მიერ გატანილი მასალის ან წიგნით სარგებლობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ვადის გაგრძელება (არაუმეტეს ერთი კვირის ვადით, რაც აღინიშნება მკითხველის ბარათში) იმ შემთხვევაში, თუ კი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი;
- ❖ წიგნის და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის დროულად არ დაბრუნების შემთხვევაში, მკითხველს მიეცემა გაფრთხილება.